ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

დასკვნა:**დ08.37220772**
თარიღი:**18/03/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიამ განიხილა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და დაადგინა:

1) ბიუჯეტში შემოსულობების გარკვეული ნაწილის მობილიზაცია ხდება არაფინასური აქტივების გაყიდვიდან 2021 წლის ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან დაგეგმილის 395.00 ათასი ლარის მიღება ფაქტობრივად მობილიზებული იქნა 345,2 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმა შესრულდა 87.4 % -ით. სასურველი იყო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში ასახულიყო არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან ბიუჯეტში შემოსულობების გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები.

2) კარგია, რომ საკმაოდ მაღალია იურიდიული და ფიზიკური პირებიდან დასუფთავებისთვის მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 250,4 ათასი ლარისა აღნიშნული მოსაკრებელი ამოღებული იქნა 233,8 ათასი ლარის ოდენობით. ბიუჯეტში შემოსულობები ზემოთ აღნიშნული მოსაკრებლის ამოღების სწორი და მიზანმიმართული ადმინისტრირებისას პროგნოზული გათვლებით შესაძლებელია 2-ჯერ უფრო მეტად გაიზარდოს.

3) მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2021 წლის ბიუჯეტში დაიგეგმა 50,0 ათასი ლარის მობილიზაცია, რა თქმა უნდა, აღნიშნული ოდენობის ფინანსური რესურსი, სრულიად არასაკმარისია მუნიციპალიტეტში ეკონომიკის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელებისათვის. მიუხედავად ამისა, იმ ღონისძიებების სრული მოცულობით განხორციელება, რომლებიც ასახული იყო 2021 წლის ბიუჯეტში, მნიშვნელოვანი ირიბი ეფექტის მომცემი იქნებოდა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში კომისიის გადაწყვეტილებით რეკომენდირებულია საკრებულოს სხდომაზე გასატანად განხილვა-დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია-კომისიის
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი